ჟესყიდვებს

1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
№ 8/501
"19" 02 2016
1 ფურცელი

დანართი 2-ად.

შეთანხმება
ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯვარი-91"-ს შორის 2015 წლის 11 დეკემბერს დადებული №501 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

ქ. ზუგდიდი *19 თებერვალი 2016 წელი*

ერთი მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში _ შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორე მხრივ, ***შპს „ჯვარი-91"*** (შემდგომში _ მიმწოდებელი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ლევან ფიფიას სახით , ორივე ერთად წოდებული როგორც _ მხარეები, 2015 წლის 11 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №501 ხელშეკრულების (შემდგომში _ ხელშეკრულება) მე-9 მუხლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის სამსახურის 2016 წლის 03 თებერვლის №281-02 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 11 დეკემბერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯვარი-91"-ს შორის დაიდო №501 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, სტიქიის შედეგად დაზიანებული, ქუჯის ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოების შესყიდვაზე. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 37499,50 (ოცდაჩვიდმეტი ათას ოთხასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს, სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2016 წლის 12 თებერვლის ჩათვლით.

2016 წლის 26 იანვრის №9 წერილით, მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს ძლიერი ყინვების გამო, სამუშაოების შეფერხებისა და ხელშეკრულების შესრულების ვადის 30 კალენდარული დღით გაგრძელების მოთხოვნის შესახებ.

საკითხი განიხილა მშენებლობის სამსახურმა. ამავე სამსახურის ინსპექტირების განყოფილებას მიზანშეწონილად მიაჩნია სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით, 2016 წლის 28 თებერვლამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

სამუშაოების დასრულებისათვის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

1. მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად დამატებით ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით განხორციელდეს ცვლილება ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2. პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   პუნქტი 3.2. _ მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები სრული მოცულობით დაასრულოს არაუგვიანეს 2016 წლის 28 თებერვლამდე.

2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების მე-18 მუხლის 18.8. პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

   პუნქტი 18.8. _ ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 17 მაისამდე, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადითა და პირობებით, სანამ რომელიმე მხარე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამასთან, ხელშეკრულების მე-12 და მე-13 მუხლებით განსაზღვრული პირობები მოქმედებს ამ მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების მომენტამდე.

3. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი იხახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

<u>*შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი*</u>	<u>*მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი*</u>
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	*შპს „ჯვარი-91"*
იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90	იურიდიული და ფაქტიური მისამართი: წალენჯიხა, საჩინო
საინდენტიფიკაციო კოდი: *220416967*	საიდენტიფიკაციო კოდი: *242729641*
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი:	*შპს „ჯვარი-91"-ს დირექტორი:*
..... /ე. თოლორაია/	..... /ლ.ფიფია/

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ი ს
მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი

N 281-02
03/02/2016

281-02-3-201602031022

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ ედიშერ თოლორაიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ედიშერ,

2016 წლის 26 იანვარს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული N 862/02 წერილთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ 2015 წლის 11 დეკემბერს გაფორმებული N501 ხელშეკრულების შესაბამისად მიმდინარეობს ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჯის ქ. N1 მდებარე საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების გაგრძელება შეფერხდა უამინდობის და ყინვების გამო.

მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილებას მიზანშეწონილად მიაჩნია სამუშაოების ჩაბარების ვადის გაგრძელება 2016 წლის 28 თებერვლამდე.

ჯაბა არდია

სამსახურის უფროსი

მშენებლობის სამსახური

შ.პ.ს. „ჯვარი-91"

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი საჩინოს თემი ს/კ 24272941 ტ: 571 16 05 05

26 იანვარი 2016 წ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ ედიშერ თოლორაიას

N9

ბატონო ედიშერ,

მოგახსენებთ, რომ 2015 წლის 11 დეკემბერს გაფორმებული N501 ხელშეკრულების თანახმად, შ.პ.ს.,,ჯვარი–91" აწარმოებს სამუშაოებს ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ - სტიქიის შედეგად დაზიანებული, ქუჯის ქ.N1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოები.

აღნიშნული სამუშაოების გაგრძელება შეუძლებელია, ვინაიდან ძლიერი ყინვების გამო, ვერ ხორციელდება ბეტონის მასის გამოყენებით შესასრულებელი სამუშაოების ჩატარება.

გთხოვთ, განმისაზღვროთ დამატებითი ვადა 30 კალენდარული დღე ზემოთხსენებული სამუშაოების დასასრულებლად.

შ.პ.ს.,,ჯვარი–91"
დირექტორი ლ. ფიფია

ზუგდიდის მ. ადმინისტრაცია
მიღებულია № 862/02
26 01 2016
01 ფურცელზე